თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების
დასავლეთის რეგიონალური ცენტრი
ქ.ქუთაისი, ფოთის ქ N40
nuralidze@gmail.com
მობ:+995 599 27 73 38

West Regional Center
of Modern Medical Technologies
N40 POTI st, KUTAISI,GEORGIA
nuralidze@gmail.com
MOB:+995 599 27 73 38

შპს „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრი"-ს დირექტორის
ბრძანება № 13/ო
27 ივლისი 2020 წელი
ქ. ქუთაისი

შპს „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრი"-ს საკუთრებაში არსებული აპარატურის, ტექნიკისა და სხვა მოძრავი ქონების დაზიანების (მწყობრიდან გამოსვლის) შემთხვევებზე კონტროლის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე

შპს „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრი"-ს საკუთრებაში არსებული აპარატურის, ტექნიკისა და სხვა მოძრავი ქონების დაზიანების (მწყობრიდან გამოსვლის) შემთხვევებზე კონტროლის მიზნით ვბრძანებ:

1. შპს „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრი"-ის (შემდგომში ბრძანების ტექსტში მოხსენებული, როგორც „კლინიკა") საკუთრებაში არსებული აპარატურის, ტექნიკისა და სხვა მოძრავი ქონების (შემდგომში ბრძანების ტექსტში მოხსენებული, როგორც „ქონება" ან „ნივთი") დაზიანების (მწყობრიდან გამოსვლა) შემთხვევაში, უშუალოდ მითითებულ ქონებაზე მომუშავე პერსონალი ვალდებულია დაზიანებისთანავე დაუყოვნებლივ აცნობოს დირექტორის მოადგილეს სამეურნეო დარგში ბ-ნ სპარტაკი ხუჯაძეს.

2. ინფორმაციის მიღებისთანავე, ბ-ნი სპარტაკი ხუჯაძე ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს კლინიკის ადმინისტრაციას აღნიშნულის თაობაზე, შეადგინოს ქონების დაზიანების აქტი, გადაამოწმოს ნივთის საგარანტიო ვადა და თუ საგარანტიო ვადა არ არის გასული, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს ქონების მომწოდებელი პირის წერილობითი ინფორმირებულება დაზიანების თაობაზე და მოიწვიოს იგი დაზიანებული ქონების მდგომარეობის შესამოწმებლად და მომწოდებელთან ერთობლივად გონივრულ ვადაში (არაუმეტეს 3 დღისა) შეადგინოს ნივთის დაზიანების აქტი.

3. იმ შემთხვევაში, თუ დაზიანებული ნივთის საგარანტიო ვადა არის გასული ან ნივთს არ ჰქონდა საგარანტიო ვადა, ბ-ნი სპარტაკი ხუჯაძე ვალდებულია შეადგინოს

დაზიანების აქტი და აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს კლინიკის ადმინისტრაციას, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დაზიანდა ისეთი ნაწილი, რომელიც ნივთის ტექნიკური მონაცემებიდან გამომდინარე, არ უნდა დაზიანებულიყო თუ ნივთობრივად უნაკლო ქონება იქნებოდა მოწოდებული, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს ქონების მომწოდებელი პირის წერილობითი ინფორმირებულება დაზიანების თაობაზე და მოიწვიოს იგი დაზიანებული ქონების მდგომარეობის შესამოწმებლად და მომწოდებელთან ერთობლივად გონივრულ ვადაში (არაუმეტეს 3 დღისა) შეადგინოს ნივთის დაზიანების აქტი.

4. წინამდებარე ბრძანებით დადგენილი წესების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, ბრალეული პირის მიმართ გამოყენებული იქნას კლინიკაში დადგენილი დისციპლინური პასუხისმგებლობის შესაბამისი ზომები, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ბრძანების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით კლინიკას მიადგება ზიანი, ბრალეული პირი ვალდებულია აუნაზღაუროს კლინიკას მისი ბრალეული ქმედებით დამდგარი ზიანი.

5. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს ვივალებ პირადად.

6. ბრძანება დადგენილი წესით გამოქვეყნდეს ვებ-გვერდზე (wrc.ge). ბრძანება გაეცნოს ბ-ნ სპარტაკი ხუჯაძეს უშუალოდ მის ინდივიდუალურ ელექტრონულ ფოსტაზე დადგენილი წესით გაგზავნით.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გია გრძელიძე

დირექტორი